ევროკავშირი
საქართველოსთვის

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საპარლამენტო ზედამხედველობის გზამკვლევი



ევროკავშირი საქართველოსთვის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

საპარლამენტო ზედამხედველობის გზამკვლევი

თბილისი
2024

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

გამოცემის ხელმძღვანელები: ნანუკა ყრუაშვილი
სალომე საღარაძე

ავტორი: ნინო კაპანაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შინაარსი

შესავალი 4

საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები (მიმოხილვა) 5

საზედამხედველო მექანიზმები – გამოყენების წესი და პროცედურა 7

- საქართველოს მთავრობისთვის ნდობის/უნდობლობის გამოცხადება 8
- სამთავრობო პროგრამის წარდგენა და მოსმენა 9
- პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება 10
- პრემიერის რიგგარეშე ანგარიშის წარდგენა და მოსმენა 12
- მინისტრის საათი 13
- ინტერპელაცია 15
- პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირის გამოცხადება 16
- საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა 18
- დროებითი საგამოძიებო კომისია 19
- სხვა დროებითი კომისია 21
- იმპიჩმენტი 22
- პარლამენტის წევრის კითხვა („სადეპუტატო შეკითხვა“) 24
- ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება 26
- კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის სავალდებულო დასწრება 26
- კომიტეტის თემატური მომხსენებელი 28
- თემატური მოკვლევა 29
- ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი (ნააკ) 31
- კანონქვემდებარე აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება 31
- გარდამავალი დებულებებით აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის განსაზღვრული დავალებების დადგენილ ვადაში შესრულების შემოწმება 32
- კომიტეტის სამუშაო ჯგუფი 32
- უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი 33
  - ნდობის ჯგუფი 34

შესავალი

ზედამხედველობა, კანონშემოქმედებასა და წარმომადგენლობასთან ერთად, პარლამენტების კონსტიტუციით დაკისრებული ძირითადი ფუნქციაა. ის გულისხმობს პროცესს, როგორ აკონტროლებენ ისინი სამთავრობო დაწესებულებების საქმიანობას ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვის მიზნით. ეს არის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების ლეგიტიმაციის ჯაჭვის უწყვეტობას არა მხოლოდ პარლამენტთან, არამედ, აგრეთვე, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. შესაბამისად, ძლიერ საპარლამენტო ზედამხედველობას არსებითი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისთვის. ზედამხედველობის ფუნქციის შესრულებით, პარლამენტი რეაგირებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში იძიებს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს, მათ შორის, კორუფციასა და ადამიანის უფლებების დარღვევას. აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის და ქმედებების მკაცრი კონტროლის გზით, ძლიერი საპარლამენტო ზედამხედველობა მმართველობის ხარისხს საზოგადოების სასარგებლოდ აუმჯობესებს.

საპარლამენტო ზედამხედველობა დემოკრატიულ სისტემაში რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება: პირველ ყოვლისა, ის ამკვიდრებს ანგარიშვალდებულების ძლიერ სისტემას, რომლის ფარგლებშიც საჯარო მოხელეები და უწყებები პასუხისმგებელნი არიან საკანონმდებლო ორგანოს წინაშე თავიანთი ქმედებებისთვის. ის ასევე უზრუნველყოფს აღმასრულებელი შტოს საქმიანობის გამჭვირვალობას: ზედამხედველობის მექანიზმები საშუალებას აძლევს საზოგადოებას და კანონმდებლებს, ჰქონდეთ ინფორმაცია მთავრობის ქმედებების, გაწეული ხარჯების და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ. გამჭვირვალობა გადამწყვეტია დემოკრატიული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, საპარლამენტო ზედამხედველობა კონტროლისა და ბალანსის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის ხელს უშლის ხელისუფლების ერთ შტოში ძალაუფლების კონცენტრაციას და თითოეული შტოს კონსტიტუციურ ფარგლებში ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. ამ საქმიანობის განხორციელებისას პარლამენტი სიღრმისეულად სწავლობს და ამოწმებს მთავრობის პოლიტიკას, ინიციატივებს, კანონმდებლობას და ფინანსური რესურსების ხარჯვას, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი შეესაბამება საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებს. ეს ხელს უწყობს პოლიტიკის იმგვარი იმპლემენტაციის თავიდან აცილებას, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოქალაქეების კეთილდღეობას. ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის კონტროლი კი სახელმწიფო სახსრების რაციონალურად გამოყენებას, კორუფციის ან ხარჯების არაეფექტიანობის პრევენციას ემსახურება.

პარლამენტარები, ვალდებული არიან რა საზოგადოებრივი ინტერესების წარმომადგენლობაზე, ზედამხედველობით უზრუნველყოფენ მთავრობის ქმედებების შესაბამისობას საზოგადოების საჭიროებებსა და მოლოდინებთან. ზედამხედველობის პროცესში ჩართულობით, ისინი ჯანსაღი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებას უწყობენ ხელს, შეუძლიათ, შესთავაზონ ცვლილებები, გაუმჯობესებები და ალტერნატივები არსებული საკითხების შესწავლის საფუძველზე.

საბოლოოდ, საპარლამენტო ზედამხედველობა არის კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატიის ფუნდამენტური ასპექტი, რომელიც სისტემის სტაბილურობას, ლეგიტიმურობას და ხალხის საჭიროებებზე რეაგირებას უზრუნველყოფს.

ამ სახელმძღვანელოს მიზანია, დაინტერესებულ საზოგადოებას გააცნოს საქართველოს პარლამენტის მიერ აღმასრულებელ უწყებებზე ზედამხედველობის განხორციელების წესი, მექანიზმები, მათი გამოყენების პროცედურები, ჩართული პირების უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობის საფუძვლები.

საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები (მიმოხილვა)

საზედამხედველო ფუნქციის შესასრულებლად საქართველოს კანონმდებლობა პარლამენტს არაერთ ინსტრუმენტს სთავაზობს. მათი გამოყენება შეუძლია როგორც მთლიანად საკანონმდებლო ორგანოს, ისე მის ცალკეულ სუბიექტებს. პარლამენტს, კომიტეტებს, ფრაქციებსა და დეპუტატებს შორის ინსტრუმენტები გადანაწილებულია მათი შინაარსისა და გამოყენების სირთულის მიხედვით. საბოლოოდ, ეს მექანიზმები ერთმანეთს ავსებს და პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას უზრუნველყოფს.

პარლამენტს შეუძლია, თავის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოები გააკონტროლოს როგორც საკომიტეტო, ისე პლენარული სხდომების ფორმატში. გარდა ამისა, ცალკეული მაკონტროლებელი მექანიზმებით სარგებლობა შეუძლია ერთ დეპუტატსაც.

პლენარულ სხდომაზე პარლამენტის კონტროლის მექანიზმებია:

- ნდობის გამოცხადება/სამთავრობო პროგრამის მოსმენა
- პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება და რიგგარეშე ანგარიში
- მინისტრის საათი
- ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების პლენარულ სხდომაზე მოწვევა
- ინტერპელაცია
- დროებითი კომისიების შექმნა
- უნდობლობის გამოცხადება
- იმპიჩმენტის გამოცხადება

კონტროლი პლენარულ სხდომაზე

კომიტეტების მეშვეობით კონტროლის განხორციელება შემდეგი მექანიზმებით არის შესაძლებელი:

საკომიტეტო კონტროლი

- ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება
- კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევა (სავალდებულო დასწრება)
- კომიტეტის თემატური მომხსენებელი
- უსაფრთხოების სექტორზე კონტროლი
- თემატური მოკვლევა
- ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი
- სამუშაო ჯგუფი

პარლამენტის წევრი სხდომებზე და მის მიღმა შემდეგი მაკონტროლებელი უფლებებით სარგებლობს:

პარლამენტის წევრ(ებ)ის საკონტროლო მექანიზმები

ზეპირი შეკითხვა
- სხდომებზე

წერილობითი შეკითხვა
- სხდომების მიღმა, ნებისმიერ დროს

თემატურ მომხსენებლად დანიშვნის უფლება
- კომიტეტების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენისას

ინტერპელაცია
- აუცილებელია, სულ მცირე, 7 დეპუტატის ინიციატივა

პლენარულ და საკომიტეტო სხდომებზე ზოგიერთი მაკონტროლებელი მექანიზმის გამოსაყენებლად აუცილებელია ინიციატორი სუბიექტი. ასეთია ფრაქცია, რომელიც შემდეგი უფლებებით სარგებლობს:



საზედამხედველო მექანიზმებიდან ნაწილის გამოყენება ინიციატორზეა დამოკიდებული, ნაწილი კი რუტინულია - მას კონკრეტული ინიციატივა არ სჭირდება, არამედ ის კანონმდებლობით წინასწარ გაწერილი წესით, გარკვეული გრაფიკით ხორციელდება. ასეთებია:

საზედამხედველო მექანიზმები – გამოყენების წესი და პროცედურა

კონსტიტუციითა და რეგლამენტით გაწერილია თითოეული მექანიზმის გამოყენების წესები - წინაპირობები, ვადები და პროცედურები. ზოგიერთ მექანიზმზე ორდინარული წესები ვრცელდება, ზოგისთვის კი სპეციალური პროცედურაა განსაზღვრული.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია მექანიზმების არსი და მათი გამოყენების წესი. ისინი პირობითად დაჯგუფებულია პარლამენტის, დეპუტატების/ფრაქციების და კომიტეტების მაკონტროლებელ მექანიზმებად.

პარლამენტის და პარლამენტის წევრის საკონტროლო მექანიზმები

საქართველოს მთავრობისთვის ნდობის/უნდობლობის გამოცხადება

ნდობის გამოცხადება[1]

მთავრობის არსებობა და საქმიანობა იწყება პარლამენტის მიერ მის მიმართ ნდობის გამოცხადებით. ნდობის გამოცხადების საკითხის გადაწყვეტისას პარლამენტი ისმენს მომავალი მთავრობის სამთავრობო პროგრამასაც, ანუ იმ ზოგად გეგმებს, რის გაკეთებასაც ის სხვადასხვა მიმართულებით აპირებს. პარლამენტი ნდობის გამოცხადებით წყვეტს, რომ მთავრობის აღნიშნული შემადგენლობა, ანუ მომავალი პრემიერისა და მინისტრების კანდიდატურები შეძლებენ, განახორციელონ წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამა.

რა შემთხვევაში დგება მთავრობის მიმართ ნდობის გამოცხადების საჭიროება?

- ❖ხალხმა აირჩია ახალი პარლამენტი
- ❖პრემიერ-მინისტრი გადადგა
- ❖პრემიერ-მინისტრს სხვაგვარად შეუწყდა უფლებამოსილება
- ❖პრემიერ-მინისტრმა თავად დასვა პარლამენტის წინაშე მთავრობის ნდობის საკითხი

უნდობლობის გამოცხადება[2]

ნდობის გამოცხადების პროცედურისგან განსხვავებით, უნდობლობის შესახებ ინიციატივა პარლამენტიდან მოდის. ის, არსებითად, პოლიტიკური ხასიათის ინსტრუმენტია და მის წამოწყებას სამართლებრივი საფუძველი არ სჭირდება. მთავრობის მიმართ უნდობლობის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტს. მიუხედავად სახელწოდებისა, უნდობლობის პროცედურის შემთხვევაშიც, კენჭისყრა ნდობის გამოცხადებაზე ტარდება. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად, პარალელურად, პარლამენტს წარედგინება ინიციატორების მიერ წამოყენებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, მთავრობის ახალი შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა. თუ საკანონმდებლო ორგანო, საკითხის აღძვრიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 დღისა, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, არსებულის მიმართ უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება.

ამდენად, უშუალოდ უნდობლობის გამოცხადებისთვის ცალკე კენჭისყრა არ ტარდება და ეს საკითხი ისევ ნდობის გამოცხადებით (ახალი შემადგენლობის მიმართ) წყდება. ზედამხედველობის საქმიანობის კონტექსტში, ორივე პროცედურა სამთავრობო პროგრამის მოსმენას და მის შეფასებას მოიაზრებს. შესაბამისად, ნდობის გამოცხადების პროცედურის

[1] საქართველოს კონსტიტუცია, 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 160-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[2] საქართველოს კონსტიტუცია, 57-ე მუხლი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 161-ე მუხლი.

მიმდინარეობა წარმოდგენილია სამთავრობო პროგრამის მოსმენის ნაწილში (იხ. შემდეგი ქვეთავი).

სამთავრობო პროგრამის წარდგენა და მოსმენა[3]

პარლამენტმა სამთავრობო პროგრამა, სულ მცირე, 4 წელში ერთხელ მაინც შეიძლება მოისმინოს. ეს ოთხ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს: (ა) თუ მთავრობა უფლებამოსილებას მოიხსნის, (ბ) თუ პრემიერ-მინისტრი გადადგება, (გ) ან მას უფლებამოსილება სხვაგვარად შეუწყდება, (დ) ან პრემიერი თვითონ დააყენებს ნდობის საკითხს პარლამენტის წინაშე.[4] პირველი შემთხვევა ახალი მოწვევის პარლამენტის არჩევას უკავშირდება. შესაბამისად, თუ პარლამენტის ერთი მოწვევის განმავლობაში პრემიერ-მინისტრი არ გადადგება, ან სხვაგვარად არ შეუწყდება უფლებამოსილება, ან თავისი ინიციატივით არ დააყენებს ნდობის საკითხს პარლამენტში, მაშინ პარლამენტის ერთი შემადგენლობა სამთავრობო პროგრამას მხოლოდ ერთხელ მოისმენს. სამთავრობო პროგრამის მოსმენა საპარლამენტო კონტროლის პირველი ნაბიჯია, ვინაიდან ამ პროგრამის პერიოდულ შესრულებაზეა დაფუძნებული საზედამხედველო მექანიზმების დიდი ნაწილი.

სამთავრობო პროგრამა პარლამენტს, მთავრობის ახალ შემადგენლობასთან ერთად, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარედგინება. პროცედურა ასეთია:

[3] საქართველოს კონსტიტუცია, 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 160-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[4] საქართველოს კონსტიტუცია, 58-ე მუხლი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 162-ე მუხლი.



ნდობის გამოცხადების პროცედურის შედეგმა, რომლის ფარგლებში ხდება სამთავრობო პროგრამის მოსმენაც, შესაძლოა, პარლამენტის დათხოვნა გამოიწვიოს. კონკრეტულად, თუ პარლამენტი მთავრობას 2 კვირის ვადაში ნდობას არ გამოუცხადებს, საქართველოს პრეზიდენტი, შესაბამისი ვადის ამოწურვიდან არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 3 კვირისა, დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.

პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება

სამთავრობო პროგრამის წარდგენისა და ნდობის მიღების შემდეგ მთავრობა მის შესრულებას შეუდგება. პარლამენტი მისი შესრულების კონტროლს იწყებს მთავრობის წევრების მხრიდან ანგარიშების მოსმენის გზით. პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება მისი რუტინული, ავტომატური მოვალეობაა და მას პარლამენტის მხრიდან რაიმე მოთხოვნის გარეშე

წარადგენს.[5] ის ვალდებულია, წელიწადში ერთხელ, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში (ივნისში) პარლამენტის წინაშე გამოვიდეს მოხსენებით სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, თუმცა ეს მოხსენება წერილობითი ფორმით პარლამენტს 1-ელ ივნისამდე წარედგინება.[6] ზოგჯერ პრემიერის მოხსენება 1-წლიან ანგარიშს არ მოიცავს. ეს დამოკიდებულია იმაზე, რომელ თვეში გამოუცხადა პარლამენტმა მთავრობას ნდობა (ანუ, როდის დაიწყო მთავრობამ სამთავრობო პროგრამის შესრულება).



[5] საქართველოს კონსტიტუცია, 55-ე მუხლის მე-5 პუნქტი.
[6] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 150-ე მუხლი.

პრემიერის (რიგგარეშე) ანგარიშის წარდგენა და მოსმენა

გარდა რუტინული მოხსენებისა, პარლამენტს უფლება აქვს, პრემიერ-მინისტრს მოსთხოვოს ანგარიშის წარდგენა სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ნებისმიერ დროს.[7] პარლამენტის ეს უფლებაც საკონტროლო მექანიზმად მიიჩნევა.

პროცედურა ასეთია:



[7] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 151-ე მუხლი.

მინისტრის საათი

მინისტრის საათიც კონტროლის რუტინული მექანიზმია. მას, კონსტიტუციისგან განსხვავებით, რეგლამენტი ითვალისწინებს. მინისტრის საათი გულისხმობს წელიწადში ერთხელ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის ცალკეული წევრების (გარდა პრემიერ-მინისტრისა) გამოსვლას მოხსენებით სამთავრობო პროგრამის შესრულების შესაბამისი მიმართულების შესახებ.[8] მოხსენებას დეპუტატები პირდაპირ პლენარულ სხდომაზე ისმენენ, კომიტეტების ეტაპის გარეშე.

პარლამენტის წინაშე მთავრობის ცალკეული წევრების გამოსვლის განრიგი, მათთან შეთანხმებით და პარლამენტის კომიტეტების ინიციატივების გათვალისწინებით, საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე, წინასწარ გაიწერება. ამდენად, პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენების მსგავსად, მინისტრის საათიც პარლამენტის მხრიდან კონკრეტული მოთხოვნის გარეშე იმართება. ამასთანავე, ორივე ტიპის ანგარიში სამთავრობო პროგრამის შესრულებას მიემართება.

[8] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 153-ე მუხლი.

ბიურო ყოველი წლის იანვარში ადგენს მინისტრის საათის გეგმას
დასაშვებია წლის განმავლობაში განრიგში ცვლილებების შეტანაც
სულ მცირე პლენარული სხდომების ყოველ 2 კვირაში ერთხელ იმართება 1 მინისტრის საათი მაინც
დაუშვებელია ერთ დღეს ორი მინისტრის საათის გამართვა
მინისტრი მოხსენებით გამოსვლამდე 5 დღით ადრე აგზავნის მის წერილობით ვერსიას
საკითხის განხილვა იწყება მინისტრის (მომხსენებლის) გამოსვლით
განხილვა მიმდინარეობს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისთვის დადგენილი წესით
დეპუტატების შეკითხვები მინისტრს
მომხსენებლის პასუხი
თანამომხსენებლის გამოსვლა
წამყვანი და სხვა კომიტეტების წარმომადგენლობითი გამოსვლები
ცალკეული დეპუტატების გამოსვლები
მომხსენებლის დასკვნითი სიტყვა

ინტერპელაცია

საპარლამენტო ფრაქციას ან, სულ მცირე, 7 დეპუტატს აქვს უფლება, წერილობითი შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს/თანამდებობის პირს. პასუხის გაცემა სავალდებულოა როგორც წერილობით, ისე ზეპირად, პლენარულ სხდომაზე.[9]



[9] საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 149-ე მუხლი.

პროცედურის მიმდინარეობა:

I
- შესაძლოა, გაიმართოს თვეში ერთხელ (გარდა დეკემბრისა და ივნისისა)

II
- იმართება თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს

III
- თანამდებობის პირი წარდგება პასუხით, თუ მას შეკითხვა გადაეცემა თვის ბოლო პარასკევამდე 10 დღით ადრე

IV
- სხდომა იწყება შეკითხვის ავტორის გამოსვლით

V
- ადრესატის პასუხი

VI
- დებატები: დეპუტატების გამოსვლები

VII
- თანმიმდევრობა - უფრაქციო დეპუტატები, ოპოზიციური ფრაქციები, უმრავლესობის ფრაქციები

VIII
- ადრესატის დასკვნითი სიტყვა

განსხვავება სადეპუტატო შეკითხვისგან
•პასუხი განიხილება პარლამენტის სხდომაზე •კითხვა, როგორც წესი, ეხება პოლიტიკას, თუმცა დეპუტატის დისკრეციაა, რა თემაზე ურჩევნია მას პასუხის მიღება და დებატების გამართვა

! ინტერპელაციის შედეგი: პარლამენტმა, შესაძლოა, მიიღოს დადგენილება, რომლითაც მას შეუძლია, მაგალითად, გასცეს რეკომენდაციები, წამოიწყოს უნდობლობის პროცედურა, ან დააყენოს შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირის გამოცხადება

პარლამენტს შეუძლია, თანამდებობის პირს არა მხოლოდ გაუგზავნოს კონკრეტული შეკითხვა და მასზე პასუხი პლენარულ სხდომაზე მიიღოს (ინტერპელაცია), არამედ მას ასევე უფლება აქვს, ზოგადი საკითხის ირგვლივ მოისმინოს თანამდებობის პირის მოხსენება, ან მოითხოვოს მისგან ანგარიშის წარდგენა, ასევე მიიღოს პასუხები.[10] ინტერპელაციისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას თავად პარლამენტი იღებს, ხოლო ინიციატორი შეიძლება იყოს

[10] საქართველოს კონსტიტუცია, 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 152-ე მუხლი.

ფრაქცია ან კომიტეტი. მათ უფლება აქვთ, დააყენონ მთავრობის წევრის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელის მოწვევის საკითხი. ამ ინსტრუმენტის მიზანია, შეავსოს საზედამხედველო საქმიანობის მექანიზმების პაკეტი. მაგალითად, თუ პარლამენტს სურს, ანგარიშვალდებული პირი მოიწვიოს არა კონკრეტულ კითხვებზე საპასუხოდ, არამედ ზოგად საკითხზე მოხსენების ან გასული 5 თვის საქმიანობის ანგარიშის მოსასმენად, ამისთვის გამოსადეგი ვერ იქნება ინტერპელაცია, მინისტრის საათი ან სადეპუტატო შეკითხვა. ასეთ შემთხვევაში, ის გამოიყენებს პლენარულ სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის ინსტრუმენტს.

საქართველოს მთავრობის წევრისა და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა

ანგარიშვალდებულების კიდევ ერთი ფორმაა თავად ანგარიშვალდებული პირების მხრიდან *საკუთარი სურვილით* პარლამენტისადმი მოხსენებით მიმართვა. პარლამენტი ვალდებულია, მთავრობის წევრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელს და სახალხო დამცველს მოთხოვნისთანავე მოუსმინოს.[11]

[11] საქართველოს კონსტიტუცია, 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 154-ე მუხლის პირველი პუნქტი.



დროებითი საგამოძიებო კომისია

სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, პარლამენტში შეიძლება შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია. კონტროლის ეს მექანიზმი კონსტიტუციით არის გათვალისწინებული.[12]

[12] საქართველოს კონსტიტუცია, 42-ე მუხლი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 61-ე-71-ე მუხლები.

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველი შეიძლება იყოს: ა) ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს; ბ) ინფორმაცია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ.

კომისია შეიძლება შეიქმნას არაუმეტეს 3 თვის ვადით. ის შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით, მაგრამ საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. კომისია ვალდებულია, წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

ინიციატორი	•პარლამენტის თავმჯდომარე •კომიტეტი •ფრაქცია •პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეხუთედი
ინიციატივის შინაარსი	•დადგენილების პროექტი უნდა შეიცავდეს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საჭიროების სათანადო დასაბუთებას
გადაწყვეტილება	•პარლამენტი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის 1/3-ის (50 წევრის) მხარდაჭერით. მოწინააღმდეგეთა ხმები არ გაითვალისწინება

სხვა დროებითი კომისია

საგამოძიებოს გარდა, პარლამენტი უფლებამოსილია, შექმნას სხვა დროებითი კომისიებიც. ასეთი კომისია არის პარლამენტის დროებითი სუბიექტი, რომელიც იქმნება სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის იმ არამუდმივი ამოცანის შესრულების მიზნით, რომელიც საჭიროებს საკითხის კოლეგიურ შესწავლასა და გადაწყვეტას.[13]

ეს კომისიაც შეიძლება შეიქმნას არაუმეტეს 3 თვის ვადით. მისი უფლებამოსილება შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით, მაგრამ საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. კომისია ვალდებულია, წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

[13] საქართველოს კონსტიტუცია, 42-ე მუხლი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 72-ე-74-ე მუხლები.

ამის გარდა, პარლამენტში იქმნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისია, რომლის თავმჯდომარედ ფრაქციის წარდგინებით პარლამენტი ირჩევს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს. მიუხედავად დროებითი ხასიათისა, ეს კომისია ყველა მოწვევაში იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

დროებითი კომისიის შექმნის საკითხის ინიციირების უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს, კომიტეტს, ფრაქციას, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ს.

პარლამენტი დროებითი კომისიის შექმნის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/4-ისა.

დროებითი კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, მის სხდომაზე გამოცხადება სავალდებულოა.

დროებით კომისიას უფლება აქვს, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, ამა თუ იმ გარემოების გამო, მოიწვიოს ნებისმიერი პირი და მას წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში, დადგენილი წესით წარადგინონ საკითხის გამოკვლევისთვის აუცილებელი დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

კომისიას უფლება აქვს, განსახილველ საკითხზე ინფორმაციის მოპოვების მიზნით, სახელმწიფო კონტროლის შესაბამისი ორგანოს წინაშე დასვას საკითხი.

კომისიას შეუძლია, კონკრეტული საკითხის მომზადების მიზნით შექმნას სამუშაო ჯგუფი კომისიის წევრებისა და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით.

იმპიჩმენტი

იმპიჩმენტი ცალკეული თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათის მექანიზმია. მისი დაწყება შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი ხასიათის (სავარაუდო) დარღვევების საფუძველზე. საკითხის ინიციირების შემდეგ ამ ფაქტს საკონსტიტუციო სასამართლო ადასტურებს, რის შემდეგაც პარლამენტი იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, გადააყენოს თუ არა შესაბამისი პირი თანამდებობიდან.[14]

[14] საქართველოს კონსტიტუცია, 48-ე მუხლი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 178-ე-180-ე მუხლები.



პროცედურა:



ზემოთ მითითებული თანამდებობის პირი (გარდა საქართველოს პრეზიდენტისა) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

პარლამენტის წევრის კითხვა („სადეპუტატო შეკითხვა“)[15]

პარლამენტის წევრის კითხვა საპარლამენტო კონტროლის პირველადი ინსტრუმენტია. მისი მეშვეობით, დეპუტატს შეუძლია, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტური მასალა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებიდან. ამ ინფორმაციის/დოკუმენტების დამუშავების შედეგად, დეპუტატს აქვს შესაძლებლობა, გამოკვეთოს აღმასრულებელ ორგანოში არსებული პრობლემები/ხარვეზები და საჯაროდ მიუთითოს მათზე.



[15] საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 148-ე მუხლი.

წერილობითი შეკითხვის ეტაპები:

I
- წერილის მომზადება

II
- გაგზავნა პარლამენტის საქმისწარმოების პროგრამით

III
- პასუხის მიღება 10 სამუშაო დღის ვადაში

IV
- კითხვის ავტორისა და ადრესატის შეთანხმებით, შესაძლებელია პასუხისთვის ვადის გაგრძელება, დამატებით, 10 დღით

საჯაროობა
• კითხვა - გაგზავნისთანავე, ხოლო პასუხი - მიღებისთანავე ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე • იშტრიხება ან სრულად არ ქვეყნდება პასუხი, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას

კომიტეტის მიერ კონტროლის განხორციელება

ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

კომიტეტს თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ნებისმიერ დროს შეიძლება დასჭირდეს სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია და მასალები აღმასრულებელი უწყებებიდან.

რეგლამენტი მას უფლებას აძლევს, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ მთავრობის წევრმა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულმა თანამდებობის პირმა ან პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელმა წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.[16]

კომიტეტის თავმჯდომარე ამ გადაწყვეტილებას, მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 დღისა, უგზავნის შესაბამის თანამდებობის პირს.	ანგარიშვალდებულმა პირებმა კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში უნდა მიაწოდონ მას მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირის სავალდებულო დასწრება

თუკი კომიტეტი ან ფრაქცია, რომელსაც ამ კომიტეტში ჰყავს წევრი, მიიჩნევს, რომ საჭიროა კომიტეტის სხდომაზე ანგარიშვალდებული პირების დასწრება, რათა მათ პასუხები გასცენ სხდომაზე დასმულ კითხვებს, ან სურთ, მათგან მოისმინონ გაწეული საქმიანობის ანგარიში, უფლება აქვთ, ეს პირები კომიტეტის სხდომაზე დაიბარონ. ისინი კი ვალდებული არიან, გამოცხადდნენ.[17]

[16] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 41-ე მუხლი.
[17] საქართველოს კონსტიტუცია, 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მე-40 მუხლი.

მოწვევის ინიციატორი	• კომიტეტი - დამსწრეთა უმრავლესობით, ხოლო 2 თვის განმავლობაში კვლავ დაბარების შემთხვევაში - სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სიითი შემადგენლობა ნიშნავს კონკრეტული მომენტისთვის კომიტეტში არსებული (დანიშნული) წევრების რაოდენობას • ფრაქცია (თუ მას ჰყავს წევრი ამ კომიტეტში)
ადრესატი	• პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი: მთავრობის წევრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი ან თანამდებობის პირი, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის ან სხვა საკანონმდებლო აქტის თანახმად, პარლამენტს წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს ან რომლის სხვა სახის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე უშუალოდ ითვალისწინებს საკანონმდებლო აქტი • პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი • სახალხო დამცველი
გამონაკლისი	• პრემიერ-მინისტრი, გენერალური პროკურორი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვალდებულნი არიან, კომიტეტის სხდომას დაესწრონ კომიტეტის წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობის წერილობითი მოთხოვნით • მათ ეგზავნებათ განსახილველი საკითხის/საკითხების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსები კომიტეტს ასევე წარუდგენენ:

- ინფორმაციას სამსახურის საქმიანობის პროცესში გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზების თაობაზე და მოსაზრებებს ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ
- მოსაზრებებს სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

კომიტეტის თემატური მომხსენებელი

პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის უკეთ წარმართვის, პარლამენტის წევრთა შორის შრომის გადანაწილების და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომიტეტის დონეზე არსებობს კიდევ ერთი მექანიზმი, რომელსაც ის მისი ცალკეული წევრების მეშვეობით ახორციელებს. ეს არის კომიტეტის თავმჯდომარის მიერ კომიტეტის წევრის თემატურ მომხსენებლად დანიშვნა. თემატური მომხსენებლის სამუშაო სფერო/სფეროები ან მიმართულება/მიმართულებები განისაზღვრება ყოველწლიურად, კომიტეტის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.[18]

თემატური მომხსენებლის მოვალეობებში შედის: კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში არსებული საკითხები (მათ შორის, კანონპროექტები), მისთვის მიკუთვნებული სამუშაო სფეროს/მიმართულების მიხედვით გააანალიზოს და მოამზადოს მოხსენება, რომელსაც საკითხის (კანონპროექტის) განხილვისას წარუდგენს კომიტეტს.

[18] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 45-ე მუხლი.

სფეროების და მიმართულებების განსაზღვრა	თემატური მომხსენებლების დანიშვნა	თემატური მომხსენებლის სიის გამოქვეყნება
კომიტეტი ყოველწლიურად განსაზღვრავს სამუშაო სფეროებს/მიმართულებებს. ისინი აისახება კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში.	სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თითოეულ სფეროზე/მიმართულებაზე პასუხისმგებელ თემატურ მომხსენებელს. ერთი უნდა იყოს საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი პარლამენტის წევრი და, სურვილის შემთხვევაში, ერთი - ოპოზიციაში შემავალ წევრთაგან. თუ კომიტეტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაო სფეროში/მიმართულებაში არავინ გამოთქვამს თემატურ მომხსენებლად ყოფნის სურვილს, კომიტეტის თავმჯდომარე თავად განსაზღვრავს მათ ვინაობას.	თემატური მომხსენებლების ერთიანი სია, შესაბამისი სამუშაო სფეროს/მიმართულების მითითებით, კომიტეტების მიხედვით ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

თემატური მოკვლევა

თემატური მოკვლევა კომიტეტში შეიძლება დაიწყოს აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით. ამ კომპეტენციის ფარგლებში, კომიტეტის წევრი უფლებამოსილია, კომიტეტს წარუდგინოს შემოსული განცხადებების ანალიზის, მიმდინარე მოვლენების, საჯარო ინტერესისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით მომზადებული თემატური მოკვლევის საკითხი/საკითხები. დაიწყება თუ არა მასზე მოკვლევა და დაინიშნება თუ არა ამისთვის ჯგუფი, გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტი. იგივე უფლება აქვს პარლამენტის მუდმივმოქმედ საბჭოს.[19]

[19] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 155-ე მუხლი.

პროცედურა ასეთია:

ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი (ნააკ)

კომიტეტის როგორც უფლებამოსილება, ისე ვალდებულებაა, გააკონტროლოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობა.[20] ამ მიზნით, იგი შეისწავლის და აანალიზებს:

- ❖ ამ ნორმატიული აქტების ეფექტიანობას;
- ❖ მათი მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს;
- ❖ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებებს;
- ❖ ნორმატიული აქტების სრულფასოვნად ამოქმედების ხელშემშლელ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს;
- ❖ იღებს ზომებს მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

პროცედურა შემდეგი წესით მიმდინარეობს:

ბიურო უფლებამოსილია, შესაბამისი კომიტეტის მიმართვის საფუძველზე, პლენარული სხდომების კვირის დღის წესრიგში შეიტანოს ნორმატიული აქტის აღსრულების საკითხი. ის განიხილება კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ნორმატიული აქტის აღსრულების მდგომარეობის შესახებ საპარლამენტო მოსმენის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, პარლამენტი იღებს დადგენილებას, რომელშიც შეიძლება აისახოს:

ა) შეფასება ნორმატიული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით;

ბ) ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზნით სათანადო ცვლილების მომზადების შესაბამისი კომიტეტისთვის დავალება.

ნააკ-ის პროცედურის ფარგლებში კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აანალიზებს სასამართლო პრაქტიკას და იღებს ზომებს საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

კანონქვემდებარე აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება

კომიტეტის კიდევ ერთი მაკონტროლებელი მექანიზმია კანონქვემდებარე აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება. ის თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია, შეამოწმოს მთავრობის, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მათი შესრულების მდგომარეობა.[21] მიუხედავად კანონშემოქმედებით საქმიანობასთან გადაკვეთისა, ეს უფლებამოსილება არსებითად ზედამხედველობის ნაწილია.

კომიტეტი შეისწავლის და აანალიზებს ამ ნორმატიული აქტების მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც უგზავნის შესაბამის უწყებას.

[20] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 38-ე მუხლი.
[21] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გარდამავალი დებულებებით აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისთვის განსაზღვრული დავალებების დადგენილ ვადაში შესრულების შემოწმება

კომიტეტი მისი ზედამხედველობის სფეროში ამოწმებს პარლამენტის ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისთვის განსაზღვრული დავალებების დადგენილ ვადაში შესრულებასაც. თუ დავალებების შესასრულებლად ვადა არ არის განსაზღვრული, მას აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებას კომიტეტი უდგენს.[22]

კომიტეტი დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ყოველთვიურად აწვდის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს, რომელიც შეისწავლის მას და 3 თვეში ერთხელ წარუდგენს ბიუროს.

პარლამენტის ნორმატიული აქტების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ყოველთვიურად ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.

კანონის ან კომიტეტის დავალების ან რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომიტეტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას

კომიტეტის სამუშაო ჯგუფი

კომიტეტი უფლებამოსილია, თავისი საქმიანობის ხელშეწყობის, საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადების მიზნით და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, საკუთარი გადაწყვეტილებით, შექმნას სამუშაო ჯგუფ(ებ)ი.[23]

სამუშაო ჯგუფის მიერ დამუშავებული საკითხი, უმეტეს შემთხვევაში, ხდება სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივისა ან ზედამხედველობის გაძლიერების (მათ შორის, პასუხისმგებელი პირების გამოკვეთის) საფუძველი.

[22] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[23] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 46-ე მუხლი.



უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი

პარლამენტს სპეციალური უფლებამოსილებები გააჩნია თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის კონტროლის მიმართულებით.[24]

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში 7 უწყება შედის:

მათ საქმიანობას პარლამენტი აკონტროლებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ნდობის ჯგუფისა და სხვა დარგობრივი სპეციალიზაციის კომიტეტების მეშვეობით.

[24] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 156-ე-159-ე მუხლები.

ამისთვის მას შეუძლია, მიმართოს როგორც ზემოთ ჩამოთვლილ ორდინარულ საზედამხედველო მექანიზმებს, ისე სპეციალურ ინსტრუმენტებსაც, რომლებსაც სხვა ანგარიშვალდებული უწყებების მიმართ ვერ გამოიყენებს.

- ნდობის ჯგუფი

ნდობის ჯგუფი იქმნება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მიზნით.[25] ნდობის ჯგუფი კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედამხედველობს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საიდუმლო საქმიანობასა და სპეციალურ პროგრამებს, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც დაკავშირებულია მუშაობის ფარულ ფორმებსა და მეთოდებთან. შესაბამისად, ის ერთადერთი ორგანოა პარლამენტში, რომლის წევრებსაც აქვთ დაშვება სახელმწიფო საიდუმლოების ნებისმიერი ხარისხის მქონე ინფორმაციასთან.

ვინ შედის ნდობის ჯგუფის შემადგენლობაში?

- ნდობის ჯგუფი შედგება 5 წევრისაგან: ერთი - თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ორი – საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციის/ფრაქციების წევრი, ორი – საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი ფრაქციების წევრი

როგორ კომპლექტდება ნდობის ჯგუფი?

- ფრაქციები ნდობის ჯგუფის წევრებად დასახელებულ პირებს წარუდგენენ პარლამენტს
- საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი ფრაქციების მიერ ნდობის ჯგუფის ორზე მეტი წევრის დასახელების შემთხვევაში, პარლამენტის პლენარულ სხდომას წარედგინება იმ 2 ფრაქციის წევრი, რომლებშიც ოპოზიციაში შემავალ სხვა ფრაქციებზე მეტი პარლამენტის წევრია გაერთიანებული
- ფრაქციების წევრთა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, პარლამენტის პლენარულ სხდომას წარედგინება იმ ფრაქციის წევრი, რომლის პარტიამაც პარლამენტის არჩევნებში მეტი ხმა მიიღო
- სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მისაღებად, პარლამენტისთვის წარდგენამდე, ნდობის ჯგუფის წევრად დასახელებული პირი შემოწმებას გადის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით
- პარლამენტი ცნობად იღებს ნდობის ჯგუფის შემადგენლობას, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით

ვინ არის ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე?

- ნდობის ჯგუფს თავმჯდომარეობს და წარმოადგენს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე

ვინ არის უფლებამოსილი, მოიწვიოს ნდობის ჯგუფის სხდომა?

- სხდომები იმართება საჭიროებისამებრ. სხდომას იწვევს და წარმართავს ჯგუფის თავმჯდომარე. ნდობის ჯგუფის სხდომის მოწვევა შესაძლებელია ჯგუფის ნებისმიერი წევრის წინადადებით, თუ სხდომის გამართვას მხარს დაუჭერს ნდობის ჯგუფის წევრთა უმრავლესობა

როგორ მიიღება სხდომაზე გადაწყვეტილება?

- სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ნდობის ჯგუფის წევრთა ხმების უმრავლესობით

ვის შეუძლია, დაესწროს ნდობის ჯგუფის სხდომას?

- ნდობის ჯგუფის სხდომა დახურულია
- ნდობის ჯგუფის გადაწყვეტილებით, მოწვევის შემთხვევაში, მის სხდომას შეიძლება დაესწრონ პარლამენტის სხვა წევრები, აგრეთვე, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებიდან მოწვეული პირები.

[25] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 158-ე მუხლი.

ნდობის ჯგუფის მანდატი მოიცავს შემდეგ უფლებამოსილებებს (მექანიზმებს):

ინფორმაციის მიღება საიდუმლო შესყიდვების შესახებ	ნდობის ჯგუფი იღებს შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული **საიდუმლო** შესყიდვების შესახებ ინფორმაციას თუ, შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 (ორ მილიონ) ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000 (ოთხ მილიონ) ლარს.
	განხორციელებული და მიმდინარე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (წელიწადში არანაკლებ ერთხელ).
	მსგავს ინფორმაციას ეს უწყებები წარუდგენენ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებს, თუკი საკითხი ეხება **არასაიდუმლო** სახელმწიფო შესყიდვებს.
საიდუმლო ნორმატიული აქტები	პრემიერ-მინისტრი, მთავრობა, შესაბამისი უწყება ვალდებულია, საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის საიდუმლო ნაწილში შეტანიდან 2 კვირის ვადაში ნდობის ჯგუფს გააცნოს უწყების სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების შემცველი საიდუმლო ნორმატიული აქტი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გაცნობის შემდეგ ნორმატიული აქტი დაუყოვნებლივ უბრუნდება შესაბამის უწყებას.
პოლიტიკის, პრიორიტეტებისა და სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტები	პრემიერ-მინისტრი, მთავრობა, შესაბამისი უწყებები ვალდებულნი არიან, მიღებიდან 2 კვირის ვადაში პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს წარუდგინონ საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის, პრიორიტეტებისა და სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტები.
საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ მოხსენება	შესაბამისი უწყებები ნდობის ჯგუფს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 აპრილისა, წარუდგენენ მოხსენებას წინა წელს განხორციელებული საიდუმლო საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების შესახებ, ხოლო სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო წარუდგენს გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს.
ნდობის ჯგუფის სხდომებზე დასწრება	შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები ან ნდობის ჯგუფთან შეთანხმებით – მათ მიერ უფლებამოსილი პირები უფლებამოსილი არიან, ხოლო ნდობის ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებული არიან, დაესწრონ ნდობის ჯგუფის სხდომებს, უპასუხონ დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინონ შესაბამისი მასალები და გაწეული საქმიანობის ანგარიში.
უწყებებში ვიზიტები	ნდობის ჯგუფის წევრი/წევრები უფლებამოსილნი არიან**, ჯგუფის თავმჯდომარის თანხმობით**, ნდობის ჯგუფის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე განახორციელონ ვიზიტები შესაბამის უწყებებში, გაესაუბრონ უწყების თანამშრომლებს და გაეცნონ შესაბამის ინფორმაციას. ამასთან დაკავშირებით ნდობის ჯგუფის თავმჯდომარის **გადაწყვეტილება შესაბამის უწყებას ეგზავნება ვიზიტის დაწყებამდე**
ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმება	ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება სსიპ – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემოწმების შესახებ და შეამოწმოს იგი წელიწადში არაუმეტეს ორჯერ. სააგენტოს საქმიანობის შემოწმების მიზნით ნდობის ჯგუფის წევრს/წევრებს შეარჩევს ნდობის ჯგუფი.
პრემიერ მინისტრისთვის მიმართვა ინფორმაციის განსაიდუმლოების შესახებ	თუ ნდობის ჯგუფი მიიჩნევს რომ ინფორმაციის დასაიდუმლოება ეწინააღმდეგება კანონიერებისა და დასაბუთებულობის პრინციპებს, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“კანონის შესაბამისად, მიმართავს პრემიერ-მინისტრს ინფორმაციისთვის სახელმწიფო საიდუმლოობის გრიფის მოხსნის წინადადებით, რომელსაც დაურთავს სუს-ის დასკვნას.
რეკომენდაციების გაცემა	ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებს წარუდგინოს რეკომენდაციები.

თავის მხრივ, ანგარიშვალდებულ უწყებებს გააჩნიათ შემხვედრი უფლება-მოვალეობები ნდობის ჯგუფის მიმართ: